თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 5 დეკემბრის სხდომის ოქმი #14

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 20, სტუდენტები – 6, სულ – 26 წევრი.

დღის წესრიგი

1. 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

2. თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

3. ტურიზმის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

4. პროფესორ სიმონ გელაშვილისათვის (დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშრებით) ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.
   /ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/
5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის დამტკიცების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ახალი ანკეტა–კითხვარი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, პროფ. ქ. მარჩავამ, პროფ. ა. სილაგაძე, პროფ. ი. კოვზანაძემ.

კენჭისყრაზე დადგა პროფ. ნ. თოდუას მიერ შეთავაზებული ანკეტა–კითხარის მოდიფიცირებული ვერსია, რომლის თანახმადაც 2015-2016 სასწავლო წლის

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვრის შემდეგნაირად:

- *ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა – 360 ადგილი;*
- *ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა – 360 ადგილი;*
- *ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა – 60 ადგილი.*

პროფ. ნ. თოდუამ ასევე წამოადგინა წინადადება აბიტურიენტათვის ,,ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში" მათემატიკის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს 40%+1.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს 2015-2016 სასწავლო წლის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის ანკეტა–კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი);
2. ეთხოვოს თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღნიშნული ანკეტა–კითხვარის დასამტკიცებლად.

მოისმინეს: თსუ-ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

ქ–მა ია ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია თსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტის, ე. კვირიკაშვილის სამსახურეობრივი ბარათი. მასში აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი, რომლითაც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა 2007 წლის თსუ ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის კურსდამთავრებულის ატაშ აბდულაევის მისანიჭებელ ხარისხში დაშვებული შეცდომის კორექტირება, დიპლომის და დიპლომის დანართის შეცვლა.

ატაშ აბდულაევი 2004 წელს ჩაირიცხა თსუ–ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალში ეკონომიკის ფაკულტეტზე ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობაზე (ბრძანება #01/01–43, 24.08.2004).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის 2009 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების შესაბამისად თსუ–ს ყოფილი ქვემო ქართლის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტის ,,ფინანსები და საბანკო საქმის“ სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ატაშ აბდულაევს მიენიჭა ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი (ბრძ. #992/01–04, 02.06.2009)

ატაშ აბდულაევის დიპლომში მითითებული კვალიფიკაცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალში მითითებულ კვალიფიკაციას. უნდა მოხდეს მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხის კორექტირება, შეიცვალოს ბრ. #992/01–04; 02.06.2009 და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სპეციალობის თსუ ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის ყველა კურსდამთავრებულს ატაშ აბდულაევის ჩათვლით, ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ ნაცვლად უნდა მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 26
წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ,,ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სპეციალობის თსუ ქვემო ქართლის ფილიალის 2007 წლის კურსდამთავრებულს ატაშ აბდულაევს ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი ნაცვლად მიენიჭოს ,,ბიზნესის მართვის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს რექტორის ბრძანებაში #992/01–04; 02.06.2009 მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე.

მოისმინეს: ტურიზმის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებულისთვის ხარისხის მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ი. ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ტურიზმის განვითარების ინსტიტუტიდან შემოვიდა წერილი, რომლითაც მოითხოვეს ტურიზმის საერთაშორისო სკოლის 2013–2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულის ვიქტორია ქართველიშვილის ხარისხის მინიჭება.

ვიქტორია ქართველიშვილი ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში გარე მობილობის წესით ჩაირიცხა 2011–2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (ბრძ. 168/01–04, 29.02.2012). კრედიტების აღიარების საფუძველზე მას განესაზღვრა მე–3 სემესტრი (კრედიტი–75) და სწავლა გააგრძელა 2011–2015 სასწავლო წლებში მოქმედი პროგრამით. სასწავლო გარათის მიხედვით მას შესრულებული აქვს ბაკალავრის ხარისხის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა.

ქ–მა ი. ნაცვლიშვილმა ფაკულტეტის საბჭოზე დააყენა საკითხი, რომ ტურიზმის საერთაშორისო სკოლის 2013–2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ვიქტორია ქართველიშვილს მიენიჭოს ხარისხი: ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ტურიზმის საერთაშორისო სკოლის 2013–2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ვიქტორია ქართველიშვილს მიენიჭოს ხარისხი: ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“

მოისმინეს: პროფესორ სიმონ გელაშვილისათვის (დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშრებით) ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

ფაკულტეტის დეკანმა ხაზი გაუსვა პროფესორ ს. გელაშვილის დიდ ღვაწლს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წინაშე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი დაბადების 60 წლის იუბილესთან დაკავშრებით პროფესორ სიმონ გელაშვილისათვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 26;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს:

1. მიენიჭოს პროფესორ სიმონ გელაშვილის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედალი.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიური საბჭოს შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე